სახლის ისტორიის ფონდი.

პოემა „ზღვისპირა ქალაქში" (ლექსებისა და პოემების
პირველი ნაბეჭდი).

25494
100
13 ვ.

1334/19-ე

~~2-494~~
100
1334/19-р
13 87.

24

792

25494.
100
1334/19-1
1.
132-133

ჩვენი ქალაქი

ვინ, რა დედამ შობა იგი,
შესძლო გმირად გაზრდა, —
რა იმედმა გაანათა
დღეს მიწა თუ დაზგა“.

აი, ახლაც, აჭარელ ხალხს
შავ ზღვის პირად, მთაში,
ახსოვთ იგი, — შემოსული
კაცი-გარიჟრაჟი,
ვინც მუშებთან საუბრობდა
ლომჯარიას სახლში.

მასთან ყოფნა, საუბარი
იქცეოდა ლხენად, —
შემოიჭრა ქარიშხალი, —
ხალხს აუდგა ენა, —
გულს იმედი ჩაუნერგა
გამარჯვების რწმენა.

საიდუმლო კრება ჰქონდათ.
რიჟრაჟამდე იკამათეს,
ოპორტუნისტს სიტყვა მისცეს
და თვალები მიანათეს.
— ეჰე, ვნახოთ, დღეს რა დაჰფქვას. —
ერთმა სთქვა და გაიცინა,
იქვე მჯდომმა დაუმატა:
ჩვენ ვიცნობდით მაგას წინათ.
ცას და მიწას მოედება,
ხეტიალობს აღმა-დაღმა,
გვარწმუნებს, რომ მისი აზრი
წამყვანია მუშის წაღმა.
— ჰე, ძამია, არც მასეა, —
მას შენიშნავს ფეხზე მდგარი, —
თუ არ გჯერავთ, აი იცნობს
მას ეს კენჭო ქილიფთარი.

— დიაზ, ვიცნობ, — ამბობს კენჭო. —
მაგ ყმაწვილზე რა არ ითქმის,
მოუსმინეთ, რა ენა აქვს,
ლამაზად და კოხტად იტყვის.
ჰე, ბიძია, მაგის ცოდნის
ნეტა მოგვცა მეათედი,
მაშინ სულ სხვა იქნებოდა
ეს ძაღლური ჩვენი ბედი.
ამ დროს მძიმე ნაბიჯით წინ
წამოდგა ის „დიდი მცოდნე“.
ფრაზიორს და მიეთმოეთს
უწოდებდნენ „შეგვიცოდე“. —
მან საყელო გაისწორა
და სთქვა: „ძნელი კითხვა დგასო,
არ იფიქროთ ბრძოლების წინ
უკან ვიხევ, — ვიცავ ტყავსო.
მაგრამ, ვთქვათ, რომ გაიფიცეთ,
რომ გაფიცვა გინდათ — ვიცი,
მე მომხრე ვარ, — ოღონდ ჯერ თქვით.
რას მოვიგებთ ამ გაფიცვით?
ჯარი ჰყავთ და პოლიცია, —
მათ ხელშია იარაღი, —
რას გავხდებით შიშველ ხელით
და წითელი ბაირაღით?
დაგვხოცავენ, ვინც დარჩება
თავს ამოვყოფთ ციმბირს იქით...“
ადგილიდან შეეკითხნენ;
— კვლავ ვითმინოთ თქვენის ფიქრით?
ასე მღვდელიც გვიქადაგებს,
საიქიოს იმედს გვაძლევს,
გვითხარი, თუ შეგიძლია,
მუშა ტანჯვას როგორ დაძლევს?
— ვიცით, — ვიღაც დაიძახებს, —
მას უსისხლო ბრძოლა უნდა!
შერცხვენილი ორატორი

თავის ადგილს დაუბრუნდა.
ამ დროს კრება შეტორტმანდა,
მყისვე სმენად გადაიქცა,
თავმჯდომარე ლომჯარიამ
ახალგაზრდას სიტყვა მისცა.
შავ-თმაგრუზა წინ წამოდგა,
სიჩუმეში, ფეთქავს გული,
სიბრძნის შუბლი ანათებდა, —
გამოხედვა არწივული.
მან სთქვა: „ყოველ წუთს აქვს ფასი,
მაგრამ ერთ წუთს მეც დავკარგავ,
დაუფიქრდით კარგად, ძმებო,
თუ რა უფრო ჩვენთვის ვარგა, —
ჩვენ გაფიცვა, ბრძოლა გვინდა,
მან სულ სხვა გზა მოგვიქარგა.“
და მან მოკლედ მოსჭრა: „ბრძოლის
გარეშე ხსნას ვინც რომ ფიქრობს, —
ვერ გავყვებით ჩვენ იმის გზას, —
ხალხი ტანჯვას ვერ გაიქრობს“.
დადგა წუთი გადამწყვეტი, —
მან განაგრძო: „კენჭი ვყაროთ,
კვლავ ბრძოლა თუ იარაღი მტერს
დავუთმოთ და დავყაროთ“...
როცა კრება დაიხურა
მათ მიჰქონდათ აზრი ბრძნული...
გარეთ თოვდა, მაგრამ გულში
აყვავილდა გაზაფხული.

•

გუბერნატორს შხამავს ფიქრი:
„სიზმარია, თუ რას ვხედავ?
მუშის ვიღაც ახალ პატრონს
ჩვენთვის ეს რა გაუბედავს?
ხალხში შეაქვს მავნე აზრი,
მას ვინ მისცა ამის ნება?

როგორ მოხდა „საწყალ მუშის“
დიდკაცეით გასვენება?
გეკითხებით, ბატონებო.
თქვენც, დრიაგინ, გეკითხებით,
აი, გესმით, ხალხი მღერის,
ვინ აუწყო იმათ ხმები?
ვინ ასწავლა მშრომელს ბრძოლა?
ვინ ჩაუდგა მონას ენა?
ვინ აუნთო მუშას რწმენა?
ან ფეხზე ვინ დააყენა?“
წინ დაუდგა დრიაგინი,
ცახცახებდა სახემკრთალი:
„მაქვს პატივი მოგახსენოთ, —
ვერ მოვკარით ვერსად თვალი,
ვეძებთ ყველგან, დღისით, ღამით, —
ფეხზე დადგა პოლიცია,
მაგრამ მისი ვინაობა
ჯერ-ჯერობით არ იციან“.
გუბერნატორს ჩაეცინა:
— „არ იციან?! ხა, ხა, ხა, ხა!
მაშ, ქუჩაში ჰკითხეთ გამვლელს, —
ეგებ ვინმემ დაინახა?“
და სიცილი წასკდა ყველას, —
ხმა გაისმა ისევ მისი:
„ბატონებო, გთხოვთ გამხადოთ
ზე იმ ჯაცის ნახვის ღირსი,
ეგებ იყოს აქაური,
თქვენც გენახოთ იქნებ სადმე?!
აბა, ვინ ხართ გულთმისანი?
ვინ მიხვდება? ვინ გაიგებს?!“
კვლავ დუდღუნებს დრიაგინი:
— „კარგად ვიცნობ აქაურებს,
საკვირაო მათი სკოლა
ასე საქმეს არ აურევს.
სხვა ყოფილა ის უცნობი,

ახალგაზრდა, ნებით მტკიცე,
აქ მუშები თურმე იმ კაცს
ერთგულებას შეეფიცნენ“.
— „რაო, რაო? შეეფიცნენ?!
ვინ მისცა მათ ამის ნება?!“
გუბერნატორს ბრაზი აღრჩობს,
შემზარავად იმზირება.
ამ დროს ვიღაც თვალს მიიპყრობს,
შეჩერდება იგი კართან.
— ჯაყელიო, — ვიღაც იტყვის, —
და ბრგე არხევს ჩოხის კალთას.
გუბერნატორს წარუდგება,
და უღიმის მშვიდად სახე.
მოახსენებს: „ვისაც ეძებთ
მისი კვალი მოგინახეთ!“
ხელი ხელსა გადაესკვნა
და მადლობა ერგო ჯაყელს,
დაევალა რომ შეიპყროს
„მოძღვარი“ — ვინც ხალხს აჯანყებს.

— : —

მდიდართა უბანს დამბლა დაეცა, —
ვერ შეუპყრიათ, ვინც ხალხს აჯანყებს,
როგორ დაენდონ ხალხთან ბრძოლაში
ხეპრე გურიელს, დრიაგინს, ჯაყელს? [1]
ხვალ თოთხმეტ კუბოს ხალხი შეხვდება, —
რა გზას მიმართავს ნეტა მთავრობა?
ეს საკვირაო სკოლა არაა, —
ეს ბრძოლა არის, — არა ლაყბობა.
არ ეძინებათ მუშათა უბნებს:
ლიმან-მელიეს და არც ბარცხანას,
მათ არ აშინებთ ცეცხლი და ტყვია,

[1] ლევან გურიელი — ცნობილი პოლიციელი, დრიაგინი — სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე, ჯაყელი — ჟანდარმის როტმისტრი.

ბვალიხდელ დღეს არ ბვდებიახ წყნარად.
თითხმეტი შუშა — თითხმეტი ძმაა,
ერთი სისხლისა და ერთი ხორცის.
ხვალ მათ მისცემენ ფიცს ერთგულების
და თვითეული შუბლს დაუკოცნის.
და ბნელ ღამეში დარახველიძის
ბინაც უძილო ღამეს ატარებს:
ეზოში ორი ქაცი დარაჯობს,
ფანჯრებს ზეწრები ჩამოაფარეს.
„ძმებო, წინ ბრძოლით უნდა გავწიოთ,
ჩვენ არ გვჩვევია ასეთ დროს დაღლა!
ხვალ მოწოდება ტყვიად ვაქციოთ
და ბრძოლის დროშა ავწიოთ მაღლა!“
„მოძღვარს“ კი შუბლზე სდიოდა ოფლი,
თუმცა ოთახში იდგა სიცივე.
— აი, ისმინეთ! — და წაიკითხა
მოწოდებიდან ლექსი მისივე:
„ბრძოლა და ბრძოლა მედგარი —
ეს ჩვენი წმინდა ვალია,
აწმყოს დაეცა თავზარი,
ახლოს სჩანს მომავალია!“
და ხელსაბეჭდზე ბეჭდავდნენ ფურცლებს,
ყოველ სტრიქონში ცეცხლი ღვიოდა,
მანქანა შესდგა... შორს მზე ცხოველი
აჭარის მთიდან ამოდიოდა.

— : —

მიწა ფართოდ ამოთხრილი
ვეშაპს ჰგავდა პირდაღებულს,
მიწის მთხრელნი დამდგარიყვნენ
და ითვლიდნენ ფულს აღებულს.
ერთმა სთქვა და სხვა გაოცდა:
— დღეს ძმებს ვმარხავთ, — დამარხვაში
ჩვენ ფულები რომ ავიღოთ,
რას იტყვიან ჩვენზე ხალხში?

მოდით, ძმებო, ეს ფულები
დავუბრუნოთ, ვინც ჩვენ მოგვცა,
გავუგზავნოთ რისხვა იმათ,
ვინც ჩვენ ძმები დაგვიხოცა.
— რაო? რა სთქვი? ჩვენი ძმები?
— ძმა ავად მყავს, დადის ხოხვით, —
— ძმა მკვდარი მყავს, — ჰე, ძმა სად მყავს?
სთქვა მეორემ ამოოხვრით.
— ვიცი, რასაც ჩემზე ფიქრობთ, —
კვლავ დაიწყო ისევ იმან,
ვინც ფულები არ აიღო
და ვინც მწარედ გაიღიმა.
— დიახ, მუშა ძმაა მუშის,
ეს საფლავიც ამას ამბობს.
თოთხმეტ გულის შემჩერებლებს
ჩვენთაგანი ვინ არ დაჰგმობს?
წაიკითხეთ, ეს ფურცელი
ამოიღებს თქვენთვის ენას,
მაშინ იტყვით, მართალი ვარ,
დაიძახებთ: კმარა, თმენა.
და გადასცა მათ ფურცელი,
თვით გაჰქრა, ვით უჩინარი,
ჩუმად ფურცლებს კითხულობდნენ,
ჰფენდა იმათ ჩრდილს ჩინარი.

— : —

ხალხია თუ ზღვა მღელვარე,
გადმოღვრილი ნაპირიდან? —
მაგრამ, არა, ზღვა არ არის,
რად გუგუნებს კაცის ხმითა?
ეს ხალხია, ზღვათა ჯიშის,
ქარიშხალი მოაქვს თანა,
სოუქ-სუსკენ მოიწევს და
მკერდით სამარხს მოატანა.

ჰა, თოთხმეტი კუბო ზღვაზე
დროშებივით ამართულან,
ხალხი გლოვობს, მაგრამ რწმენით
ყველა წელში გამართულა.

— : —

ჩამოიღეს კუბოები
სამარესთან დაასვენეს, —
თავს დასტირის შვილს მშობელი,
ცრემლით მიწა დაასველეს,
ხალხი იდგა გარინდული,
ყველას სახეს ფლობდა სევდა,
მათ შორის კი ერთი იყო,
ყველას გულს რომ ამხნევებდა.
მოწოდება იმედებად
უღვიოდა ყველას გულში,
დღეს ბევრს თვალი აეხილა,
ბრმა და ყრუ რომ იყო გუშინ.
პოლიცია, — ჟანდარმები
ძაღლებს ჰგავდნენ დაგეშილებს, —
დედები რომ მისტიროდნენ
გაცივებულ თავის შვილებს,
ჩაუვლიდნენ დაცინვით და
დაუწყებდნენ ღრჭენას, სიცილს.
— ძმებო ფრთხილად! — გაისმოდა, —
დამცირება მტერმა იცის! —
და თოთხმეტი კუბო, როცა
ძმათა საფლავს მიაბარეს,
საფლავს ირგვლივ გვირგვინები
შემოაწყვეს, მიაფარეს.
ხალხმა იწყო უკან დენა,
მოძღვრის ხმაც ხალხს მიჰყვებოდა:
— „დრო დადგება და რაც დღემდე
მშრომელთ სისხლი იღვრებოდა, —

ის ამოვა ყვავილებად, —
ამღერდება შრომის მხარე,
მაშინ აქაც, ამ საფლავში
ჩვენს თოთხმეტ ძმას გავახარებთ!“

— : —

მისი ხმა ჰგავდა მოვარდნას თქეშის,
ყოველი სიტყვა იყო მუქარა, —
მან მოწოდების ფურცლები ხელში
დაკუმშა და მათ გადაუყარა.
ძლიერ ცხარობდა გუბერნატორი:
— „აი, ინებეთ პროკლამაცია!
აბა, მითხარით ამის ავტორი...
ვინ არის ნეტა და რა კაცია!
ვაი, სირცხვილო, მეფის ერთგულებს
ბოროტმოქმედი ვერ შეგიპყრიათ,
განა ძრ გესმით, — მუშების გულებს
დააცხრობს მხოლოდ ხმალი და ტყვია?“
ხმა აიმაღლა: — „კმარა, გათავდეს
მუშების ასე გათავხედება,
გავსრისოთ, თორემ ისევ რომ აღდგეს,
უბედურება წინ დაგვიხვდება.
თქვენ, ბატონებო, ცოტას დამიცდით!
თქვენთან კიდევ მაქვს სალაპარაკო
იმ ერთ ტუსაღზე, — თქვენ არც კი იცით,
რა საშიშია და საარაკო!“
— როგორ არ ვიცით,—ერთხმად მოუჭრეს,—
— დასჯა არ შველის, — ხუნდის დადება,
ახლოს ჩაუვლით, ზიზღით შეგვხედავს,
და დამცინავად ახარხარდება.
— „მაშ, თქვენ გგონიათ ის სწერს ამ ფურცლებს
და ხელმძღვანელობს ციხიდან მუშებს?
თქვენ ფიქრობთ, — ციხე მას ვერ გაუძლებს
და მალე ქალაქს ტყვიებს დაუშენს?“

— „რა მოგახსენოთ, — უთხრა ჯაყელმა, —
ციხის აღება არ ძალუძს ტუსაღს,
მაგრამ ის სხვაა, ის ყველას უყვარს.
და საკანშიაც მყოფი, შავ დღეში
იგი მტკიცედ დგას და ტანჯვას იტანს.
ასეთ ტუსაღის ყოფნა ციხეში,
მეტი რომ არ ვთქვა, გვიქადის ხიფათს.
ასე მგონია, შიგნიდან ციხეს
ასაფეთქებლად უმზადებს ნაღმებს,
თუმცა ჰო, ციხის კარებს ვერ გასტეხს,
მაგრამ ამხედრებს ჩვენზე ტუსაღებს.
გადასახლება მას რას დააკლებს?
დაუბრუნდება ისევ ჩვენს ქალაქს,
რაც უთესია მუშებში, დაჰკრეფს, —
მოიყვანს ბრძოლის ახალ ნიაღვარს,
ჯალათს გვიწოდებს, რას არ გვაბრალებს
არ მოგვასვენებს არსად ცოცხალი!..“
ჯაყელმა რისხვა შემატა თვალებს,
შეათამაშა ქარქაშში ხმალი, —
გუბერნატორმა მას გაუღიმა,
მისი ხმა ჰგავდა სისინს გველისას:
„ტუსაღის ი-ქმე უკვე გადაწყდა,
გადასახლება მისი გველირსა.
მაგრამ აქ ერთი მაფიქრებს მხოლოდ,
ვთქვათ, გამოიქცა, დაბრუნდა ისევ,
ჰო, მაშინ კი მას ველარ ავლაგმავთ,
ბრბოს აგვიჯანყებს და შემოგვისევს...
თუმცა რას ვამბობ? ციმბირის ჰავას
ჯანსუსტი კაცი განა გაუძლებს?
იმ ქვეყნის ყინვა ძვალ-ტყავად ქცეულს,
უეჭველია მტრობას გაუწევს!
თუ გნებავთ, აი, ვკითხოთ ჩვენს ექიმს“,
— „დიახ, ბატონო, თქვენ ბრძანებთ მართალს,
რასაც თქვენ ამბობთ, მეტი რა მეთქმის?“
და ციხის ექიმს ღიმი დაეტყო. —

„ციმბირის ყინვებს ის ვერ აიტანს,
ციმბირის ჰავა კაცს არ იცოდებს“...
გულში კი ფიქრობს: „რკინის გული აქვს,
ნეტავ ტუსაღის ჯანი მე მქონდეს“.

— : —

საკრებულოში გაშალეს სუფრა,
და მთვრალებს ბინდი თვალს ეფარება,
მეძავ ქალებთან ვნებას იცხრობენ, —
ჩვეულებრივი აქვთ ნეტარება...
ამ დროს შავ ზღვაზე გადამდგარ ციხის
საკანში ძვერდა გული მღელვარე,
ტუსაღი ტანჯვას ქედს არ უხრიდა,
რადგან მას ჰქონდა რწმენა ელვარე.
ფიქრობდა, — იტანს ივი სიმწარეს, —
რადგან ბრძოლის გზა წილად რგებოდა, —
თვალისოდენა სარკმელსა მთვარე
ფირუზის ციდან დაშუქებოდა.
ადგა და სარკმელს მიაპყრო თვალი,
ნათელი სახე შეხვდა სინათლეს...
„როდის იქნება ქვეყნად მტარვალი,
ფეხქვეშ განერთხოს ხალხის სიმართლეს?“

ციხე ზღვის პირად

კარი მეორე

ზოგს ეგონა: — ამ ქალაქში
ზღვა შესწყვეტდა მძაფრად ღელვას,
მაგრამ ჰქროდა ქარიშხალი,
ანათებდა წყვდიადს ელვა.
„დე, შეღებოს ქუჩა სისხლმა,
და გაუტყდეს ქალაქს ძილი!“

ჰა, გაისმა ვაჟკაცური
და მედგარი დაძახილი:
„ქუთაისის პატიმარი
ჩვენს ციხეში მოიყვანეს.
თუმც დაუხშეს რკინის კარი,
რწმენით გვიღებს გულის კარებს“.
და ამ ხმაზე ზღვა მოვარდა,
დაეჯახა ზვირთი ზვირთებს,
ეს ხალხის ზღვა შავ ზღვას ჰგავდა,
შუქურას რომ ღამით ინთებს.
და იჭექა ხმამ მღელვარემ:
„დაგვენატრა მისი ნახვა, —
სიბრძნის შუქით მოელვარემ
ვინც ბრძოლის გზა დაგვისახა“.
დაეფარა ღრუბლებს მთვარე,
და კუპრივით ღამე იდგა,
ტუსალს არვინ მიაკარეს,
მხოლოდ ქარი ჩუმად ზღვიდან
მიიჭრა და მიესალმა:
„აქ არიან, ვინც გინატრა,
შენი რწმენის ნაპერწკალმა
იელვა, გზა გაგვინათა...“

იმ ციხეში დამარხული
მზიანი დღეც ავდარია,
იქ საამო გაზაფხული
სუსხიანი ზამთარია.
თუმცა ერთი ნაპერწკალი
იქაც იქცა ცეცხლის ალად, —
ვერ ჩააქრეს იგი ალი,
აბობოქრდა უძლევ ძალად.
და ტუსაღი ბნელ საკანში
გაეტაცა მაღალ ფიქრებს,
თვალწინ ედგა ის ქალაქი,
სადაც შლიდა ბრძოლის ზვირთებს!

სად ქარიშხალს გაშლილ ფრთებით
მოეყვანა რისხვა მთებად,
გაისმოდა: „ცისკარს ვხვდებით,
საცა არის გათენდება“.

ბევრი სხვა რამ აგონდება
ბრძოლით განვლილ დღეებიდან,
ხან ემჩნევა დაღონება,
ხან რისხვას ჰყრის თვალებიდან.
აგონდება: მის საკანში
მოიყვანეს ვიღაც უცხო,
მან შეატყო ლაპარაკში —
შავი ზრახვა ჰფლობდა უცნობს.
და პასუხად მისთვის ჰქონდა
შეკითხვაზე მუდამ „არა“,
ან პასუხსაც არ ეტყოდა
და ჯაშუში გაამწარა.
არ გასულა ორი დღე და
„სიმწრის ოფლი“ დაიღვარა
და ის ვიღაც ავი კაცი
ღამით სადღაც გაიპარა.

მას მეხილეც მოაგონდა,
ის სპარსელი ბიჭი ალი,
ციხეში რომ დადიოდა
და მოჰქონდა ვაშლი, მსხალი.
ვაჟკაცური სახე ჰქონდა,
გულიც ჰქონდა მას მართალი.
მისი ნახვა უხაროდა,
სწვავდა ყმაწვილს ბრძოლის აღი,
და მორბედი, შეფიცული
გაჩნდებოდა ციხის კართან,
ეზოში რომ ტუსაღები
„სასეირნოდ“ გამოჰყავდათ, —
იძახოდა: „ხილი-ხილი,

მწიფე ვაშლი, მსხალი, ნუში!“
გადასცემდნენ ბარათს მარდად
და ეტყოდნენ ჩუმად ყურში.
ალი იყო მუდამ ფრთხილი,
გულადობაც მას არ აკლდა,
ვერ აკრთობდა ცხელი ტყვია,
მტერს თავს მედგრად შეაკლავდა.
მაგრამ ერთხელ იმ ციხეში
ხიფათის წინ დადგა ალი,
ბარათი რომ მისცეს ხელში,
დარაჯმა მას მოჰკრა თვალი.
რა ჰქნას ალიმ, რა იღონოს
და იქიდან როგორ დაძვრეს?
რაღაც უნდა მოიგონოს,
ჰფიქრობს: დარაჯს ფულს შეაძლევს..
არა. სხვა გზით უჯობს წასვლა, —
და მოკბიჩა ვაშლი ხელად,
ვაშლთან ერთად გადაყლაპა
ბარათი და... ჩაახველა.

ტუსაღი თავს ასწევს მაღლა,
მოიშორებს თითქოს ფიქრებს,
მაგრამ არა, ისევ მაღლა —
შორით სივრცეს გადაიფრენს:
და ქუთაისს გადაჰხედავს,
მიადგება ციხის კარებს.
მცველი იცნობს. კარს გაუღებს
და უფროსთან გაატარებს.
მეციხოვნე დგას ფერმკრთალი:
„უშენობას ძლივს ვეღირსეთ
ვის უცქერის ჩემი თვალი?!
კვლავ აქა ხარ, ჩვენთან ისევ?“
ციხეში კი ხმაურია:
— „ჩვენი ~~კობა~~!“ — ხალხი გრგვინავს,
ეხვევიან, — ყველა კოცნის,

იგი უხსნის ბრძოლის მიზნებს,
დრო არა აქვს უქმად მოცდის,
შავ ზღვისპირად გემი ელის
და წაიყვანს უცნობ მხარეს,
მის წინ არის გზა ნათელი,
იმ გზით ტანჯვაც გაახარებს.
მოაგონდა დედის ნახვა,
მის ცრემლიან თვალებს ხედავს...
მაგრამ ამ დროს, შავ ზღვის პირად
ციხის კარი გაიღო.
შეიკვეცა ისევ ფრთები,
გადაისვა თავზე ხელი,
გადივარცხნა გრუზა თმები,
თითქოს ყავდა მას მნახველი,
ვის ნახვასაც იჩქაროდა,
და მიადგა რკინის სარკმელს,
შავი ზღვიდან ქარი ჰქროდა,
ცას უცქერდა, როგორც სარკეს.
„ნუთუ იქაც, იმ ცივ მხარეს
ასეთია ცა კრიალა?“
და მოესმა კრიმანჭული,
გურულების ხმა წკრიალა...
თვალი მოჰკრა... დაინახა,
ვიღაც იდგა ციხის ახლოს.
იცნო, მაგრამ... რა უნდა ქნას,
როგორ უნდა დაუძახოს?
დაუქნია ხელი სწრაფად,
დაუძახა: „ხაშიმ! ხაშიმ!
დარდი ნუ გაქვთ, ისევ გნახავთ!
ხვალ გავდივარ, ძმაო, ზღვაში!“

ჩაციდება

ქარი მესამე

ღამის წყვდიადმა დაჰფარა
აჭარა მაღალმთიანი,
ალარ ამკობდა კამარას
„მტირალა“ * ვერცხლის თმიანი.
დაფარფატებდნენ შავ ზღვაში
გემები იალქნიანი
და უფსკრულს ჰგავდა ზღვა მაშინ,
მღელვარე, მეხისხმიანი.
დაუვიწყარი რჩებოდა,
ძველი ძალლური ცხოვრება
ახლა მით განირჩეოდა,
რომ დიად რწმენით მშრომელი
მტრის შესატევად დგებოდა,
თვალთაგან ცრემლთა მშრობელი
მზე მომავლის ჩნდებოდა.

— : —

ნუნუ იდგა ჭიშკართან
ქანდაკებად თითქოს,
როცა ელვამ ინათა...
გაიანემ, იმ დროს,
ნუნუს წყრომით მიმართა:
„ეს რააო ვითომ, —
ამ ღამეში ქალიშვილს,
ვინ მიგზავნის? რატომ?
ჩეულებას არ იშლი
და დარბიხარ მარტო,
ვნახოთ გულს თუ გამიშლი,
მეტყვი, რასაც ვნატრობ“.

---

* აჭარის ერთ-ერთი მთის სახელწოდება.

148-149

9

112-113

132
133

თმას უწეწდა გოგონას
ნოემბერის ქარი,
სიტყვა ვერ მოეგონა,
აუცრემლდა თვალი.

—

ნუნუს გული უძგერდა,
ძლივს ამბობდა სიტყვას, —
გაიანე უცქერდა,
რა მოხდაო, — ჰკითხა.
ნუნუ ჩუმად უმხელდა:
— „ჰე, რა უნდა გითხრა,
ჩვენსას, ვინც დადიოდა,
ვინც გვასწავლა წიგნი,
ვისი რწმენაც ღვიოდა
ხვალ ზღვით მიჰყავთ იგი“.
მოისმოდა გუგუნი,
ეს ზღვის იყო ღელვა,
ღამე იდგა უკუნი,
ნუნუ როგორც ელვა
გაჰქრა, — წყვდიადს უსწრებდა
ზღვა მიჰქონდა გულით,
გზაში ბრძოლას უწევდა
ფიქრი დათალხული.

—:—

ბარცხანაში იდგა ოდა,
ახლოს ყეფდა ძაღლი ფრთხილი.
გზად ბილიკი მიდიოდა,
იქ ცხოვრობდა დედა-შვილი...
იქ მას ღამე უთევია,
ვინც გვშორდება ადრე ხვალე,
ვისაც გულში უტევია
დიად რწმენის სიმხურვალე.
ღამე იყო და ამ სახლში
ორი გული წმინდად ძგერდა.

შრომით მოღლილს ქარხანაში
ჩაეთვლიმა ნუნუს დედას.
ნუნუ კი მას გაეტაცა,
იგი მხოლოდ მას ხედავდა,
ვისაც თვლიდა ისეთ კაცად,
ზღვის შებმას რომ გაბედავდა.
— „ნეტავ იგი გემს სად მიჰყავს,
დიდი ქვეყნის რომელ მხარეს?
იგი მიდის და უმისოდ
გული როგორ გაიხარებს?
სად იცხოვრებს რომ იცოდეს,
იქნებ შესძლოს ისევ ნახოს,
სახალათეს მოუქარგავს
და იქნება მასთან ახლოს.
ნუნუ ფიქრობს, ნუნუს სჯერა
„სტუმარს“ ჰქონდა წრფელი გული.
წრფელი იყო მისი მზერა,
ხალხისადმი სიყვარული.
და მის სურათს მიაცქერდა,
მოაგონდა, როცა იმან
მოუტანა ერთხელ წიგნი,
გადასცა და გაუღიმა:
— ჰა, ამასაც წაიკითხავ,
ოღონდ, იცი, ჩემო კარგო,
წაკითხული უნდა მითხრა, —
დრო ამაოდ არ დავკარგოთ.

ნუნუ წიგნში თავს ჩარგავდა
და ცრემლს ღვრიდა ღაპა-ღუპით,
სძაგდა, მშრომელს ვინც სჩაგრავდა
ვინც ლხინობდა სხვის დაღუპვით.
წიგნში ნახა თავდადება —
გმირთა შორის — სიყვარული,
იგრძნო, გულში ცეცხლი ენთო
და ცრემლს ღვრიდა სიხარულის.
— ნუნუ, შვილო, წიგნის კითხვა

გატაცებით ჯანს არ არგებს.
რა წიგნია, ეგებ მითხრა,
სტუმარი რომ ასე აქებს?
— ეს წიგნია „მამის მკვლელი“*
უპასუხა ნუნუმ დედას.
— მამის მკვლელი? ჩქარა, ხელი
წიგნს გაუშვი! როგორ ბედავ
მაგის კითხვას ჩემს ოჯახში?
რა თქვი, გოგო, მამის მკვლელი?
ღმერთო ჩემო, ნეტა ხალხში
როგორ დადის მაგის მთქმელი?
ნუნუ მისწვდა მშობლის კალთას,
— რა გინდაო, — დედამ ჰკითხა,
ნუნუ წყნარად დაჯდა მასთან
და ის წიგნი წაუკითხა.
წაუკითხა და... მათ თვალებს
ცრემლით მიწა დაენამა.
— „ეჰ, დღეს ვინ არ შეიბრალებს
ნუნუსა და ნუნუს მამას.“ —
სთქვა დედამ და თვალზე ცრემლი
მოიწმინდა ხელის გულით.
— ეხ, რად გვინდა ცარიელი
ერთობა და სიყვარული,
ან ცრემლი და შებრალება
ვის უშველის, ვის რას არგებს.
თუ რაც ჩვენგან ევალება
გულთან ახლოს არ იკარებს“.
— რა თქვი? შენი სიტყვა ქარმა
მოიტაცა, — უთხრა დედამ.
— მე ისა ვთქვი, რაც სტუმარმა...
ნუნუ დედას შეაცქერდა.
— სტუმარმა კი რა სთქვა ნეტა?
— მან სთქვა: „უნდა იარაღით
შევებრძოლოთ ჩვენ მტერს ერთად.

---

* ალ. ყაზბეგის თხზულება „მამის მკვლელი“.

რომ ცხოვრება შევქმნათ ლაღი!
ნეტარების ქარი ჰქროდეს
და აყვავდეს ჩვენი ბაღი.
რომ ჰაერში ირხეოდეს
მზით ნაქარგი ბაირაღი".
— ეჰე, შვილო, შენ მოესწარ...
მე კი ასეთ დროს არ ველი...
ვინ ჩამოხევს ღამის ზეწარს,
რამ მოგვისპოს წესი ძველი?!
— ვინ დახევს და ჩვენი ძალა,
რა მოსპობს და ჩვენი ძმობა,
ოღონდ ვიქცეთ ბრძოლის ალად,
როგორც იგი — გმირი კობა.
— რაო, კობა, იაგოს ძმა?
— დიახ, დედა, — ძმადნაფიცი.
ამ წიგნიდან ადარ გახსოვს?
— როგორ არა, ვიცი, ვიცი!
— ჩვენც გვყავს, დედა, ჩვენი კობა!
— ჩვენი კობა?
— კობა, დიახ!
„მოძღვარს" ასე ეძახიან.

მოჩვენება გაჰქრა ტკბილად
ჩაეძინა ნუნუს. ამ დროს
ნუნუს დედა ადგა ფრთხილად,
ქარხნის საყვირს რომ დაასწროს.

— : —

მზე ჩადის და სევდას სტოვებს,
თუმც ისედაც აქ ვინ ხარობს?
ყველა თვალებს აფართოებს,
მის დანახვას გული ჩქარობს.
მინის ველზე ოქროს თეფში,
თითქოს შუა გატეხილა,
შეპარულა ღამე მთებში,
რომ მზის შუქი არ ეხილა.

ზღვას დაეცა მთების ჩრდილი
და ციხის-ძირს შავი ფარდა,
ძეზღვაურებს აქვს დაცდილი
ქარიშხალის ამოვარდნად.
ხმა გაისმა: „ნავი მოჰყავთ!“,
და მოედვა შიში ქუჩებს, —
ვინაც ამბობს: „მცველებს მოვკლავდი,
რომ ის ბორკილს გადაურჩეს!“...

მოიყვანეს. მასთან ახლოს
მისვლას არვინ ერიდება.
მაგრამ ცეცხლი ვინ ჩააქროს,
როცა ყველას ეკიდება.
რა მძიმეა ერთი წუთიც,
როს ჩანგს სიმი მოეშვება,
ტანჯვად გრჩება, — ვეღარ უცდი
ნატკენ გულის მოშუშებას.
ვეღარ არღვევ ჩაკეტილ გზას,
მაგრამ მაინც წინ მიილტვი,
„ამას მხოლოდ მტერი გიზამს!“ —
თავისთავთან მაინც იტყვი.
და თუ მაშინ ნაპერწკალი
გაიელვე გულში სწრაფად,
მოგედება ცეცხლის ალი
და შეუტევ მტერსაც მძაფრად.
გაცილების წუთებს განა
მღელვარებით არ ვიგონებთ?
დღემდე გულმა მოიტანა,
ხვალაც გულში ჩავიკონებთ!
ზღვა დაფარა მაშინ ნისლმა
გემზე ფრთები დააბერტყა:
ხმა გაისმა: ახლოს ვნახოთ!
მთქმელს მცველები შემოერტყა.
— „ამხანაგებს გაუმარჯოს!

მზად იყავით ძმებო, მუდამ!
იარაღი გქონდეთ ხელში!“
ეს ხმა ყველას გულში ჰქუხდა.
ნაცნობი ხმა მუშებს მიწვდა,
და „მოძღვარი“ დაინახეს.
ყველას სახე გაუბრწყინდა,
და პასუხად მიაძახეს:
„შენც ათასჯერ გაგიმარჯოს!“*
მზად ვართ, — ყველამ თავი დასდოს,
შენს აზრს მტკიცედ უდარაჯოს
და ბრძოლების ცეცხლი ანთოს!
ხედავთ, გემზე იგი გაჰყავთ...
ერთხელ კიდევ მოიხედავს,
— ნეტავ „მოძღვარს“ კიდევ ვნახავთ?—
ეკითხება ნუნუ დედას.
გააცილებს ყველას თვალი,
ყველას გულიც თან გაჰყვება,
უერთდება ზღვას კურცხალი
და ყველა გრძნობს მწუხარებას.
გემი ზღვაში მიდის ნელა,
მიჰყავს იგი, ვისი სახეც
მარად, როგორც ცისარტყელა
გულში რწმენად შეინახეს.

ვარსკვლავი გემზე

კარი მეოთხე

ნოემბრის ქარი აჭარის მთიდან
შავ ზღვას დაეცა გაშლილი ფრთებით,
მეხს ქარიშხალი იწვევდა ციდან, —
ნისლს იბურავდა გურიის მთებიც.
ღამე ზღვად ქუხდა, ზღვა ღამედ იქცა,
ტალღათა შორის გემს გზა გაედო,

---

* ბათუმში მუშაობის დროს სტალინის პაროლი იყო: „ათასჯერ გაგიმარჯოს!“.

სიბნელე ნთქავდა ზეცას და მიწას,
მხოლოდ იმ გემზე ვარსკვლავი ენთო...
ქარი ღმუილით გლეჯდა შავ ფარდებს,
გემის აფრებთან ჰქონდა ჭიდილი.
ჭაბუკი გვრიდა იმედს ტუსაღებს, —
არ აშინებდათ მასთან სიკვდილიც.
„ქობო!
გვითხარი რამ საიმედო!
გაგვითენდება თუ არა ღამე?!
ეგება ბედმა არ გაგვიმეტოს,
გვითხარი რამე,
გვითხარი — რამე!“
ჭაბუკი იდგა, ღამეს გასცქერდა,
წყვდიადი იყო ირგვლივ მომდგარი,
და ყველას გული მის ხმაზე ძგერდა,
ყველას ესმოდა სიტყვა მოძღვარის:
„ტანჯვის გარეშე ბრძოლა არაა,
არც გამარჯვება ბრძოლის გარეშე.
გვწამდეს, დიად მზეს ვიხილავთ ჩქარა,
წყვდიადი ქვეყნად ვერ ითარეშებს!“
თავჩაქინდრულებს, ზოგსაც მთვლემარეს
აგონდებოდათ წარსული დღენი,
მრავალჯერ ესვათ ამ ქვეყნად მწარე,
მაინც ელტვოდნენ მომავალს ლხენით.
გმირ ჭაბუკის სულს ვერ ტეხდა ქარი,
ქარი საშიშარ ზღვის ფაფარს შლიდა,
მას იტაცებდა მხარე ნეტარი, —
თვალს უმაგრებდა ქარიშხალს მშვიდად.
უეცრად შორით გამოჩნდა სახე,
ვის ხილვას მისი ელოდა დღენი,
გაისმა: „ძმებო!“ — ყველა თვალს ახელს,
იტყვის: „გჯეროდეთ, მე ვნახავ ლენინს!“
დამშვიდდა ქარი. ინათა ოდნავ.
გამოჩნდა მთვარე, განათდა ღამე,
ღრუბლებში შორით ნათელი კრთოდა, —

ყველას გულებში ჩადგა სიამე.
და აი, წუთით ღრუბლებმა მნათობს
გადააფარა შავი კალთები.
მთვარეს მიმართა ჭაბუკმა ლექსად, —
გაუზიარა გულის ნადები:
„მაშ, ტურფავ, წინანდებურად
ღრუბლებში [illegible]აშკაშე,
ლურჯ კამა[illegible] საამოდ
სხივები შეათამაშე.
მეც გადავიხსნი საკინძეს
და მკერდს მოგიშვერ მთვარესა“...

როცა კიდური ცის აელვარდა, —
სხივებმა ნისლი გაადნეს ცვარად,
ზღვა დადგა, მაგრამ გული ღელავდა,
და ჭაბუკს ტანჯვა მიაჩნდა არად.
აჭარის მთისკენ მიაპყრო თვალი,
ფიქრით ნაპირზე დაეშვა მთიდან,
სად მისი რწმენა, საქმე მართალი
რაზმავდა ხალხს და მეომრებს ზრდიდა.
გადაეხვია მშბოლიურ მხარეს.
ტურფა მიდამო მისი დაჰკოცნა,
და შემდეგ ფიქრმა აგემა მწარე
შორს, ცივ-ქვეყნისკენ გადაიტყორცნა.
ფიქრებში გართულს საყვარელ ჭაბუკს
შემოეხვივნენ მებრძოლნი მაშინ,
ჭაბუკი სულით ადარეს ჭარბუქს,
ვინც ამხნევებდა მებრძოლებს ზღვაში.
ერთმა მათგანმა ამოიკვნესა,
წინ გაიშვირა მარჯვენა ხელი,
და ჩამოეყრდნო გემის კიდესა,
გადაეფინა სახეს ნაღველი:
„მშვიდობით ზღვაო, ლაღო სტიქიავ,
უკანასკნელად ვუცქერ შენს ზვირთებს,
ცისფერს და ამაყს,—ჩემს წინ რომ კრთიან...

უკანასკნელად დღეს შენ გულს მინთებ«[1].
იგი შესდგა და დადუმდა წამსვე,
რადგან ჭაბუკმა თვალით შერისხა:
„მე კი რწმენით ვარ, ძმაო, ალსავსე,
ფრთებს საბრძოლველად ისევ შევისხამ;
გადმოვფრინდები მშობლიურ მხარეს
და გადავცურავ შავი ზღვის ზვირთებს,
თანამებრძოლებს კვლავ გავახარებ,
შევუმსუბუქებ მშრომელ ხალხს ტვირთებს.
მაშ, კვლავ დავსჭექოთ, ძმებო, სიმღერა!
ხომ ხედავთ დარი მიგვყვება გზაში, —
ჩვენ ვერ შეგვაკრთობს ზღვის რისხვა, ვერა,—
სიყრმით გაზრდილებს მღელვარე ზღვაში...“
ზღვის პირად, სადაც ჩრდილავენ ქალაქს
კავკასიონის მთათა შტოები,
სად ციხის ნანგრევს ბურუსი ფარავს,
ზღვიდან რომ მოჩანს განმარტოებით.
სად ქალაქია კვამლით და მტვერით,
მათ ივსებოდა მშრომელთა ბინა,
დილით აენთოთ დროშა მზისფერი
და ცისკრის ფრთებზე გადმოეფინათ.
გუშიდან ჭაბუკს მოაცილებდა
სადგურისაკენ ათასი თვალი,
ათასი გულიც ერთად უცემდათ
იმედებით და რწმენით გამთბარი.
ბრძოლის სიმღერა გრგვინავდა ზღვისებრ
და აკაჟებდა სიმღერა ყველას:
„შურისძიებით ჩვენ გულებს ვივსებთ,
მალე მოჰყვება ქუხილი ელვას“...

---

[1] პუშკინის ლექსიდან „ზღვეს“.